# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, მთვარისა კევლიშვილი დავიბადე 1961 წელს ქარელში.

მშობლები:

მამა- სულიკო ფუხაშვილი , დაბადებული 1938 წელს, გარდაიცვალა 1979 წელს;

დედა- ნაზი ფუხაშვილი-ლაფაჩი, დაბადებული 1939 წელს, გარდაიცვალა 2009 წელს.

1976 წელს დავამთავრე ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლის 8 კლასი, რის შემდეგაც სწავლა გავაგრძელე თბილისის სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმში. აღნიშნული სასწავლებელი დავამთავრე 1979 წელს. ამავე წლიდან მუშაობა დავიწყე შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, სადაც ვიმუშავე 1999 წლის 29 ივნისამდე. პარალელურად ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე / 1983-1989 წწ/. 1999 წლის 29 ივნისიდან 2006 წლის 7 ნოემბრამდე ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე. 2006 წლის 7 ნოემბრიდან 2009 წლის 29 ივნისამდე ვირიცხებოდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა რეზერვში. 2009 წლის ნოემბრიდან გახლავართ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

2012 წლიდან დღემდე ვარ „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტანტი.

2001 წლის 1 დეკემბრიდან ვიმყოფები ოფიციალურ ქორწინებაში ნიკოლოზ კევლიშვილთან /დაბადებული 1958 წლის 23 თებერვალს/. მყავს ერთი ვაჟი, გიორგი კევლიშვილი / დაბადებული 2003 წლის 15 მაისს/, რომელიც სწავლობს ქ. თბილისის 105-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასში.

მ. კევლიშვილი

31.05.2019წ.